პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 1 (336)

1969 წლის იანვარი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 1 (336) იანვარი 1969 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი


1. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების შესახებ.
2. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ
3. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბათუმის რაიონის მახინჯაურის № 379 საარჩევნო ოლქში გასული დეპუტატის ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების დღის შესახებ.
4. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობათა შესახებ სასოფლო საბჭოების საარჩევნო ოლქების რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე.
5. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოებში, სადაც მოსახლეობა 1000 კაცამდეა, სასოფლო საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების გამონაკლისის სახით არშექმნის ნებართვის შესახებ.
6. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ.


### განყოფილება მეორე


7. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. შადურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
8. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. დ. ღოღობერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

9. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ა. რუხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

10. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტების მშენებელთა რაზმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

11. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფ. დ. მ. გელოვანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

12. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. პ. სალიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

13. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. ჭანტურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

14. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ნ. მერკვილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

15. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. გ. ჭანტურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

16. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ყ. გასანოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

17. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ლ. იოსავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

18. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ გ. ი. ბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

19. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. კ. კინწურაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

20. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „სახალხო განათლების“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივ კომისიაში.

საინფორმაციო ცნობა

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განყოფილება პირველი

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 1 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების შესახებ

იმის გამო, რომ საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულების უფლებამოსილების ვადა მთავრდება 1969 წლის თებერვალში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა 1969 წლის თებერვალ-მარტში ჩაატარონ საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1969 წლის 7 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 2 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ

იმის გამო, რომ საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების უფლებამოსილების ვადა მთავრდება 1969 წლის 19 მარტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები კვირას, 1969 წლის 16 მარტს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1969 წლის 14 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 3 ბათუმის რაიონის მახინჯაურის № 379 საარჩევნო ოლქში გასული დეპუტატის ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების დღის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 99-ე მუხლის შესაბამისად დაინიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები ნაცვლად გასული დეპუტატისა ბათუმის რაიონის მახინჯაურის № 379 საარჩევნო ოლქში კვირას, 1969 წლის 16 მარტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 23 იანვარი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 4 საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობათა შესახებ სასოფლო საბჭოების საარჩევნო ოლქების რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ნება დაერთოს ასპინძის რაიონის რუსთავის, დუშეთის რაიონის უკანაფშავის, შატილის ხეობის, მცხეთის რაიონის ცხვარიჭამიის, თეთრიწყაროს რაიონის კლდეისის, ლენტეხის რაიონის ცანის, მესტიის რაიონის ლახამულის, ფარის; ყაზბეგის რაიონის თრუსოს, ახალსოფლის, ლენინგორის რაიონის გდუს, დორეთკარის, ჯავის რაიონის ქეშელთის, როკის, ვანელის, ხობის რაიონის ყულევის სასოფლო საბჭოების აღმასკომებს შექმნან საბჭოების არჩევნების 20-20 საარჩევნო ოლქი, ხოლო ონის რაიონის მთისკალთის, ახმეტის რაიონის ომალოს სასოფლო საბჭოს აღმასკომებს — 15-15 საარჩევნო ოლქი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 23 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 5 მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოებში, სადაც მოსახლეობა 1000 კაცამდეა, სასოფლო საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების გამონაკლისის სახით არშექმნის ნებართვის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაკმაყოფილდეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობანი და ქვემოთ ჩამოთვლილ სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სადაც მოსახლეობა 1000 კაცამდეა, გამონაკლისის სახით ნება დაერთოთ არ შექმნან სასოფლო საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები:

**აბაშის რაიონში** — წყემის, ონტოფოს, გეზათის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ადიგენის რაიონში** — ქექლის, სმადის, მლაშეს, მოხის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ამბროლაურის რაიონში** — ცახის, ნამანევის, ხოტევის, ველევის, სხვავის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ასპინძის რაიონში** — იდუმალის, რუსთავის, ორგორის, აწყვიტის, ტოლოშის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ახალქალაქის რაიონში** — ხავეთის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**ახალციხის რაიონში** — ანდრიაწმინდის, ელიაწმინდის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ახმეტის რაიონში** — ომალოს სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**ბორჯომის რაიონში** — გუჯარეთის, გვერდისუბნის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**გეგეჭკორის რაიონში** — დოშაყეს სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**გორის რაიონში** — საყავრის, მღებრიანის, ზემო ახალსოფლის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**დუშეთის რაიონში** — უკანაფშავის, შატილის, ხეობის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**თეთრიწყაროს რაიონში** — დურუნკის, კლდეისის, შეხვეტილას, ჩხიკვთის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**თელავის რაიონში** — თეთრიწყლების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**თერჯოლის რაიონში** — გოგნის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**თიანეთის რაიონში** — ახალსოფლის, არტნის, ტუშურების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ლაგოდეხის რაიონში** — ცოდნის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**ლანჩხუთის რაიონში** — ნინოშვილის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**ლენტეხის რაიონში** — ცანის, ხოფურის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ლენინგორის რაიონში** — დორეთკარის, გდუს, საღბიერის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**მახარაძის რაიონში** — სილაურის, თხინვალის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**მესტიის რაიონში** — უშგულის, კალის, ცხუმარის, ფარის, ლახამულის, ნაკის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**მცხეთის რაიონში** — ცხვარიჭამიის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**ონის რაიონში** — ჭიორის, გლოლის, გომის, საკაოს, პიპილეთის, შქმერის, კვაშხიეთის, ფარახეთის, ბარის, სორის, მთისკალთის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ორჯონიკიძის რაიონში** — ბაზალეთის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**საგარეჯოს რაიონში** — კრასნოგორსკის, უჯარმის, კოჭბაანის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**სამტრედიის რაიონში** — გამოჩინებულის, გორმაღლის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**საჩხერის რაიონში** — ცხომარეთის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**ყაზბეგის რაიონში** — თრუსოს სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**ყვარლის რაიონში** — მთისძირის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**ჩოხატაურის რაიონში** — დიდი ვანის, ზემო სურების, ზემო ხეთის, შუა სურების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ჩხოროწყუს რაიონში** — თაიას, ნაკიანის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ცაგერის რაიონში** — ალვის, ნაკურალეშის, ლუხვანოს სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ცხაკაიას რაიონში** — ზემო ჭალადიდის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**ცხინვალის რაიონში** — გერის, ბელოთის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**წითელწყაროს რაიონში** — წითელი საბათლოს, კასრისწყლის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხაშურის რაიონში** — ხილების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**ხობის რაიონში** — პირველი ხორგის, ალიონის, ყულევის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ჯავის რაიონში** — ვანელის, როკის, ედისის, ქეშელთის, წონის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ქ. ჭიათურაში** — გეზრულის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

2. იმ საარჩევნო ოლქებში, სადაც არ შეიქმნება სასოფლო საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები, მათი ფუნქციების შესრულება დაეკისროს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიებს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1969 წლის 24 იანვარი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 6 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

ა) უზრუნველყონ ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების შექმნა, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა წამოყენება მშრომელთა კრებებზე და მათი დამტკიცება აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულებით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ) მიიღონ ზომები საარჩევნო უბნებისა და ოლქების მოსაწყობად და დროულად მოამარაგონ საარჩევნო დოკუმენტაციის ბლანკებით, საარჩევნო ყუთებით, ბეჭდებით, საკანცელარიო ნივთებით და სხვა მოწყობილობით;

გ) ქმედითი დახმარება გაუწიონ მუშაობაში საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს, უზრუნველყონ ისინი სათანადო ლიტერატურით, საკავშირო და საქართველოს სსრ კონსტიტუციებით, არჩევნების დებულებით და სხვ., ჩაატარონ აღნიშნული კომისიების თავმჯდომარეებისა და მდივნების საინსტრუქტაჟო თათბირ-სემინარები თავიანთი უფლება-მოვალეობანისა და საარჩევნო დოკუმენტაციის შედგენის წესის განმარტების მიზნით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მიაღწიონ იმას, რომ ყველა საარჩევნო უბანი უზრუნველყოფილ იქნეს გათბობა-განათებით, სატელეფონო კავშირით და სხვა აუცილებელი მოწყობილობით;

ე) სერიოზული ყურადღება მიაქციონ ამომრჩეველთა სიების ზუსტად შედგენას. არ დაუშვან ხმის უფლების მქონე არცერთი მოქალაქის გამოტოვება, დროულად დააზუსტონ იმ ახალგაზრდა ამომრჩეველთა დაბადების თვე და რიცხვი, რომლებსაც არჩევნების დღისათვის უსრულდებათ 18 წელი და შეიტანონ ისინი ამომრჩეველთა სიებში;

ვ) უზრუნველყონ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მშრომელთა საერთო კრებებზე მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება და მათი რეგისტრაციაში გატარება დებულებით გათვალისწინებულ ვადებში;

ზ) მიიღონ ზომები საარჩევნო ბიულეტენების დროულად და სათანადო რაოდენობით დასაბეჭდად და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის მათი ჩაბარება მოახდინონ დაწესებულ ვადაში;

თ) უზრუნველყონ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ ტელეგრაფული ცნობების წარდგენა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაწესებულ ვადებში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს (ამხ. ო. თაქთაქიშვილი) მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით გააუმჯობესოს კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა; კლუბების, სამკითხველოების, ბიბლიოთეკებისა და აგიტმხატვრული ბრიგადების საშუალებით მოსახლეობაში ფართო პროპაგანდა გაუწიოს არჩევნებისათვის მზადებას.

3. დაევალოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს (ამხ. კ. ქავთარაძე) ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 20 თებერვლამდე უზრუნველყოს ყველა საარჩევნო უბანი სატელეფონო კავშირით და მიიღოს სათანადო ზომები კავშირგაბმულობის ორგანოების შეუფერხებელი მუშაობისათვის.

4. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას (ამხ. მ. ბაღათურია) თვალყური ადევნოს აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობას.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1969 წლის 30 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**7** **ამხ. ვ. ი. შადურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, შინაგანი სამსახურის მე-3 რანგის გენერალი ვარლამ ივანეს ძე **შადური დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1969 წლის 2 იანვარი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**8** **ამხ. ვ. დ. ლოლობერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

პარტიულ და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ პროფსაბჭოს მდივანი ამხ. ვიტალი დავითის ძე **ლოლობერიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1969 წლის 2 იანვარი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**9** **ამხ. ლ. ა. რუხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სავაჭრო პალატის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლონგინოზ ალექსანდრეს ძე **რუხაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1969 წლის 2 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 10 საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტების მშენებელთა რაზმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სტუდენტთა საზაფხულო არდადეგების დროს ჩრდილოეთ ყაზახისტანის ოლქისა და ენგურჰესის სამშენებლო სამუშაოებზე აქტიური მუშაობისათვის, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტების მშენებელთა რაზმი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილის., 1969 წლის 2 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 11 პროფ. დ. მ. გელოვანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი დავით მიხეილის ძე **გელოვანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 3 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 12 ამხ. ნ. პ. სალიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, წალენჯიხის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი ამხ. ნესტორ პეტრეს ძე **სალია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 3 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 13 ამხ. ა. ა. ჭანტურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. ალექსანდრე ანდრიას ძე **ჭანტურია** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 3 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 14 ამხ. გ. ნ. მერკვილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტის გამგე ამხ. გიორგი ნოშრევანის ძე **მერკვილაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 3 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 15 ამხ. ა. გ. ჭანტურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, წალენჯიხის რაიონის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ანდრო გელას ძე **ჭანტურია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 3 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 16 ამხ. მ. ქ. გასანოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, მეორადი შავი ლითონების დამზადების, გადამუშავების და გასაღების საქართველოს საწარმოო-დამამზადებელი რესპუბლიკური სამმართველოს „ვტორჩერმეტ"-ის რწმუნებული გარდაბნის რაიონში ამხ. მურთუზ ყულის ძე **გასანოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 3 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 17 ამხ. ვ. ლ. იოსავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე ამხ. ვლადიმერ ლავრენტის ძე **იოსავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 3 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 18 პროფესორ გ. ი. ბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მეღვინეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე პროფესორი გიორგი ივანეს ძე **ბერიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 27 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 19 ამხ. ა. კ. კინწურაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველი ამხ. აკაკი კონდრატეს ძე კინწურაშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 27 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 20 გაზეთ „სახალხო განათლების“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო განათლების განვითარებისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის, დაარსების ორმოც წლისთავთან დაკავშირებით, გაზეთი „სახალხო განათლება“ დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1969 წლის 30 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 21 გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართულ საბჭოთა პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის გაზეთ „სახალხო განათლების“ დაარსების ორმოც წლისთავთან დაკავშირებით, რედაქციის თანამშრომლები დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ვასილ პეტრეს ძე **ბაიაძე** — რედაქტორის მოადგილე.
2. ალექსანდრე ისაკის ძე **მელქოევი** — იურისკონსულტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. გრიგოლ პლატონის ძე **საჯაია** — გაზეთ „სახალხო განათლების" ყოფილი რედაქტორი.

4. ვლადიმერ ილიას ძე **სიმონიშვილი** — რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი.

5. ნათელა ილარიონის ასული **ფაილოძე** — განყოფილების გამგე.

6. ნიკოლოზ დავითის ძე **შველიძე** — რედაქტორი.

7. ივანე მიხეილის ძე **ჯაფოშვილი** — მხატვარი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 30 იანვარი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივ კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის სხდომა დეპუტატ შ. ბერიანიძის თავმჯდომარეობით.

კომისიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხები და დაამტკიცა 1969 წლის პირველი ნახევრის სამუშაო გეგმა. კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია დეპუტატი შ. ყარყარაშვილი, მდივნად — დეპუტატი ზ. ოქრომჭედლიშვილი.

აღნიშნული საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა რ. მეტრეველმა, ს. ჭილაიამ, შ. ბერიანიძემ, შ. ყარყარაშვილმა.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

## საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1969 წლის 30 იანვრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის" ორდენებით და „დედობის მედლებით დააჯილდოვა 694 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისიდან | . . . . . . . . . | 3 |
| ქ. ქუთაისიდან | . . . . . . . . . | 7 |
| ქ. ჭიათურიდან | . . . . . . . . . | 13 |
| ახალქალაქის | რაიონიდან . . . . . | 26 |
| ახმეტის | „ . . . . . | 23 |
| ბოგდანოვკის | „ . . . . . | 17 |
| გარდაბნის | „ . . . . . | 125 |
| გორის | „ . . . . . | 25 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| ზუგდიდის | „ . . . . . | 9 |
| თეთრიწყაროს | „ . . . . . | 4 |
| თელავის | „ . . . . . | 9 |
| თიანეთის | „ . . . . . | 1 |
| ვანის | „ . . . . . | 10 |
| კასპის | „ . . . . . | 9 |
| მარნეულის | „ . . . . . | 207 |
| მესტიის | „ . . . . . | 19 |
| ყვარლის | „ . . . . . | 15 |
| ლაგოდეხის | „ . . . . . | 38 |
| ჩოხატაურის | „ . . . . . | 9 |
| წალკის | „ . . . . . | 52 |
| წალენჯიხის | „ . . . . . | 23 |
| წითელწყაროს | „ . . . . . | 19 |
| ცაგერის | „ . . . . . | 5 |
| ხაშურის | „ . . . . . | 9 |
| ხობის | „ . . . . . | 17 |

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 27 იანვრის ბრძანებულებით **თერჯოლის რაიონის** ცენტრი სოფელი თერჯოლა გარდაიქმნა დაბად, ხოლო თერჯოლის სასოფლო საბჭო — სადაბო საბჭოდ.

11.030.